GFSIS ახალგაზრდების კვლევა

ახალგაზრდების ღირებულებები და პოლიტიკური აქტივიზმი

ივლისი-აგვისტო 2021

მოგესალმებით, ჩემი სახელია (რესპონდენტის სახელი და გვარი). მე წარმოვადგენ კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრს (CRRC-საქართველოს), რომელიც არის არასამთავრობო, დამოუკიდებელი კვლევითი ორგანიზაცია. ჩვენ ვატარებთ გამოკითხვას 18-დან 29 წლის ჩათვლით ახალგაზრდებთან.

D1. გთხოვთ, მითხრათ თქვენი ასაკი. რამდენი წლის ბრძანდებით?

[ჩაწერეთ ასაკი წლებში]

_ _ [წლის]

-2. (უარი პასუხზე)

[თუ რესპონდენტი არ არის 18-დან 29 წლის ჩათვლით, დაემშვიდობეთ მას]

ჩვენ, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის (GFSIS) მხარდაჭერით, ვატარებთ კვლევას ახალგაზრდების პოლიტიკური აქტივიზმის და ღირებულებების შესახებ. გამოკითხვა დაახლოებით 15 წუთი გაგრძელდება. თქვენი მონაწილეობა ამ გამოკითხვაში ძალზე მნიშვნელოვანია, რათა უკეთ გავიგოთ 18-დან 29 წლის ჩათვლით ახალგაზრდების ღირებულებები და დამოკიდებულებები რიგი საკითხების მიმართ. ტელეფონის ნომრები შემთხვევითი წესით შეირჩა კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით და ყველა პასუხი კონფიდენციალურია. თქვენი გვარი არსად დაფიქსირდება.

D2. სქესი

1. კაცი
2. ქალი

D3. რომელ ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნებით?

[არ წაუკითხოთ. შეუსაბამეთ. მიიღეთ მხოლოდ ერთი პასუხი.]

1. **ქართველი**

2. სომეხი
3. აზერბაიჯანელი
4. რუსი
5. სხვა (მიუთითეთ)

-2. (უარი პასუხზე)

D4. საქართველოს რომელ რეგიონში ცხოვრობთ ძირითადად ბოლო ექვსი თვის მანძილზე?

[არ წაუკითხოთ. შეუსაბამეთ. მიიღეთ მხოლოდ ერთი პასუხი.]

თბილისი	1	-> გადასვლა D6
აჭარა	2	
გურია	3	
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4	
იმერეთი	5	
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	6	
შიდა ქართლი	7	
სამცხე-ჯავახეთი	8	
ქვემო ქართლი	9	
მცხეთა-მთიანეთი	10	
კახეთი	11	
სხვა (მიუთითეთ)	12	

D5. ბოლო 6 თვის მანძილზე, ძირითადად ქალაქში ცხოვრობდით, დაბაში თუ სოფელში?

[მხოლოდ ერთი პასუხი]

1. ქალაქში
2. დაბაში
3. სოფელში

D6. გთხოვთ, მითხრათ, რომელია თქვენ მიერ მიღებული განათლების ყველაზე მაღალი საფეხური?

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! წაუკითხეთ პასუხის ვარიანტები. მიიღეთ მხოლოდ ერთი პასუხი.]

1	**არასრული საშუალო განათლება (ან უფრო დაბალი საფეხური)**
2	**სრული საშუალო განათლება**
3	**საშუალო ტექნიკური / საშუალო სპეციალური განათლება**
4	**არასრული უმაღლესი განათლება/ სტუდენტი**
5	**უმაღლესი განათლება (ბაკალავრის, მაგისტრის ან 5 წლიანი დიპლომი)**

6	**დოქტორანტურა ან სამეცნიერო ხარისხი**
-1	*(არ ვიცი)*
-2	*(უარი პასუხზე)*

D7. რომელ რელიგიას ან აღმსარებლობას მიაკუთვნებთ თავს?
[არ წაუკითხოთ. შეუსაბამეთ. მიიღეთ მხოლოდ ერთი პასუხი.]

1	მართლმადიდებლური ეკლესია
2	სომხური სამოციქულო ეკლესია
3	ისლამი
4	კათოლიკური ეკლესია
5	პროტესტანტული ეკლესია
6	სხვა ქრისტიანული აღმსარებლობა ან სექტა (იეჰოვას მოწმეები, მორმონები, და ა.შ.)
7	იუდაიზმი
8	სხვა (მიუთითეთ)
-5	*(არც ერთ რელიგიას მივაკუთვნებ თავს)*
-1	*(არ ვიცი)*
-2	*(უარი პასუხზე)*

D8. განსაკუთრებული ღონისძიებების გარდა, როგორებიცაა ქორწინება ან გასვენება, რამდენად ხშირად ესწრებით რელიგიურ მსახურებას?
[**ინტერვიუერის საყურადღებოდ!** წაუკითხეთ პასუხის ვარიანტები. მიიღეთ მხოლოდ ერთი პასუხი.]

1	**კვირაში ერთხელ ან უფრო ხშირად**
2	**თვეში ერთხელ მაინც**
3	**მხოლოდ განსაკუთრებულ რელიგიურ დღესასწაულებზე**
4	**უფრო იშვიათად**
5	**არასდროს**
-5	*(ჩემს აღმსარებლობაში არაა რელიგიური მსახურება)*
-1	*(არ ვიცი)*

-2	*(უარი პასუხზე)*

D9. ხართ თუ არა ამჟამად დასაქმებული?

[იგულისხმება ნებისმიერი ტიპის დასაქმება, რომელსაც ფულადი შემოსავალი მოაქვს. ეს შეიძლება იყოს სრულ ან ნახევარ განაკვეთზე, თვითდასაქმებული ან დაქირავებული მუშაკი. იგულისხმება ასევე სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვა, თუ ამას ფულადი შემოსავალი მოაქვს]

დიახ	1
არა	0
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

ახალგაზრდების პოლიტიკური აქტივობა და ღირებულებები

1. თქვენი აზრით, დღეს საქართველოში რამდენად არიან ახალგაზრდები ჩართულები ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში? [წაუკითხეთ]

სავსებით ჩართულები არიან	1	გადადით მე-3 კითხვაზე
ნაწილობრივ ჩართულები არიან	2	
დიდად არ არიან ჩართულები	3	
საერთოდ არ არიან ჩართულები	4	
(არ ვიცი)	-1	გადადით მე-3 კითხვაზე
(უარი პასუხზე)	-2	

2. თქვენი აზრით, რა არის იმის მიზეზი, რომ ახალგაზრდები არ არიან ჩართულები პოლიტიკურ პროცესებში? [წაუკითხეთ, მიიღეთ მაქსიმუმ სამი პასუხი]

ახალგაზრდებს არ აინტერესებთ პოლიტიკა	1
საქართველოში ახალგაზრდა პოლიტიკოსები და ახალგაზრდებისგან შემდგარი პარტიები არ არიან	2
პანდემიის გამო	3
ახალგაზრდებს სხვა პრობლემები ადარდებთ (მაგ. სწავლა, სამსახური, ა.შ.)	4

ახალგაზრდებში პოლიტიკა ნეგატიურად აღიქმება (მაგ. პოლიტიკა ბინძური საქმეა, იქ მხოლოდ სხვა სფეროში შეუმდგარი ხალხი იყრის თავს, პოლიტიკა ნორმალური ადამიანისთვის შეუფერებელია, და ა.შ.)	5
ახალგაზრდებს მდგომარეობის გაუმჯობესების იმედი არ აქვთ/არავის იმედი არ აქვთ (მაგ. მაინც არაფერი გვეშველება, ხალხისთვის არავინაა, ჩვენ მაინც არავინ გადაგვაწყვეტინებს და ა.შ.)	6
ახალგაზრდებს არც ერთი პარტია არ მოსწონთ	7
პოლიტიკური პარტიების კამპანია არ არის მიმართული ახალგაზრდების დაინტერესებაზე	8
სხვა (მიუთითეთ)_____	9
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

3. **თქვენი აზრით, რა შემთხვევაში აფიქსირებენ საქართველოში ახალგაზრდები საკუთარ აზრს აქციებზე გასვლით?** [წაუკითხეთ, მიიღეთ ყველა პასუხი]

რუსულ ოკუპაციასთან დაკავშირებული საკითხების შემთხვევაში	1
პრო-რუსული ქმედებების შემთხვევაში (მაგ. გავრილოვის ჩამოყვანა)	2
ადამიანის უფლებების ან თავისუფლების შეზღუდვის (მაგ. ბასიანის მოვლენები) შემთხვევაში	3
არჩევნების გაყალბების შემთხვევაში	4
მძიმე სოციალური ან ეკონომიკური პრობლემების შემთხვევაში	5
ეკოლოგიური პრობლემების ან გარემოს დაბინძურების შემთხვევაში	6
სხვა (მიუთითეთ)_____	7
[არ წაუკითხოთ] (ყველა შემთხვევაში გადიან აქციაზე)	-4
[არ წაუკითხოთ] (არც ერთ შემთხვევაში არ გადიან აქციაზე)	-5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

4. **პირადად თქვენ ხართ თუ არა ჩართული პოლიტიკურ ან სამოქალაქო პროცესებში შემდეგი ფორმით** [წაუკითხეთ]:

		დიახ	არა	*(არ ვიცი)*	*(უარი პასუხზე)*
1	**ხართ პოლიტიკური პარტიის წევრი**	1	0	-1	-2
2	**ხართ ახალგაზრდული მოძრაობის წევრი**	1	0	-1	-2
3	**ხართ სამოქალაქო აქტივისტი** (მაგ. რეგიონის პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობა)	1	0	-1	-2
4	**ხართ უმაღლეს სასწავლებელში ახალგაზრდული, პოლიტიკური კლუბის წევრი**	1	0	-1	-2

5	სხვა (მიუთითეთ)_____	1	0	-1	-2

5. **მიიღეთ თუ არა მონაწილეობა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში?**

დიახ	1
არა	0
(მაგ დროს ჯერ არ ვიყავი 18 წლის)	-5
(არ მახსოვს)	-1
(უარი პასუხზე)	-2

6. **არის თუ არა ამჟამად საქართველოში პოლიტიკური პარტია, რომელიც ახლოს დგას თქვენს შეხედულებებთან?**

დიახ	1
არა	0
(არის პარტია, რომელიც ნაწილობრივ იზიარებს ჩემს შეხედულებებს)	-5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

7. **ჩამოთვლილთაგან, რა არის თქვენთვის ყველაზე ღირებული?** [წაუკითხეთ, მიიღეთ მაქსიმუმ 3 პასუხი]

პირადი უსაფრთხოება	1
ქვეყნის უსაფრთხოება	2
ადამიანის უფლებები	3
ეკონომიკური კეთილდღეობა	4
ქვეყნის დეოკუპაცია	5
თანასწორობა	6
კანონის უზენაესობა	7
გარემოს დაცვა	8
რელიგიური მრწამსი	9
სხვა (მიუთითეთ)_____	10
[არ წაუკითხოთ] *(ყველაფერი)*	-4
[არ წაუკითხოთ] *(არაფერი)*	-5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

ქვეყნის შიდა პოლიტიკა

8. **[როტაცია] რა მიგაჩნიათ დღეს საქართველოს სამ მთავარ პრობლემად?**

[წაუკითხეთ პასუხის ვარიანტები. მიიღეთ მაქსიმუმ სამი პასუხი]

1	ეკონომიკური და/ან სოციალური საკითხები (მაგ. უმუშევრობა, სამსახურის დაკარგვა)
2	ადამიანის უფლებები და დემოკრატია
3	ჯანდაცვა (კოვიდის ჩათვლით)
4	გარემოს დაცვა
5	განათლება
6	დანაშაული და კრიმინალი
7	სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის ტერიტორიები/ოკუპაცია
8	ტერიტორიული მთლიანობის უფრო მეტად დარღვევის საფრთხე
9	პროდასავლური (დასავლეთის ქვეყნების მომხრე) საგარეო კურსის ცვლილების საფრთხე
10	ქვეყნის შიდა სიტუაციის დესტაბილიზაცია /სამოქალაქო არეულობა
11	ადამიანის პიროვნული განვითარების შესაძლებლობების არარსებობა
12	სხვა (მიუთითეთ)_____
-4	[არ წაუკითხოთ] *(ყველაფერი)*
-5	[არ წაუკითხოთ] *(საქართველოში პრობლემები არ არის)*
-1	*(არ ვიცი)*
-2	*(უარი პასუხზე)*

9. [როტაცია] თქვენი აზრით, რომელი სფეროს განვითარებას უნდა შეუწყოს ხელისუფლებამ ხელი პირველ რიგში?

[წაუკითხეთ პასუხის ვარიანტები. მიიღეთ მაქსიმუმ ორი პასუხი]

სოფლის მეურნეობა	1
მაღალი ტექნოლოგიები	2
ტურიზმი	3
მეცნიერება	4
საინჟინრო საქმე	5
განათლება	6
სამედიცინო სფერო/ჯანდაცვა	7
ბიზნესი	8
კულტურა	9
სპორტი	10
სოციალური დაცვა	11
თავდაცვა	12
ინფრასტრუქტურა	13
გარემოს დაცვა	14
სხვა (მიუთითეთ)_____	15
[არ წაუკითხოთ] *(ყველა სფეროს)*	-4

[არ წაუკითხოთ] *(არც ერთ სფეროს)*	-5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

10. **თქვენი აზრით, ადამიანის უფლებები საქართველოში... [წაუკითხეთ]**

დიდწილად დაცულია	1
ნაწილობრივ დაცულია	2
არ არის დაცული	3
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

11. **თქვენი აზრით, როგორი დამოკიდებულება აქვთ ახალგაზრდებს ქურდული სამყაროს (კანონიერი ქურდების ინსტიტუტის) მიმართ 2012 წლამდე პერიოდთან შედარებით? ქურდული სამყარო (კანონიერი ქურდების ინსტიტუტი)...** [წაუკითხეთ]

უფრო პოპულარულია	1
ისეთივე პოპულარულია	2
ისეთივე არაპოპულარულია	3
ნაკლებად პოპულარულია	4
[არ წაუკითხოთ] (არ ვიცი რას ნიშნავს ქურდული სამყარო)	-5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

12. **შესაძლებლობა რომ გქონდეთ, რომელ ქვეყანაში წახვიდოდით ლეგალურად სამუშაოდ?** [არ წაუკითხოთ, შეუსაბამეთ. მიიღეთ ყველა პასუხი]

გერმანიაში	1
საფრანგეთში	2
იტალიაში	3
ესპანეთში	4
საბერძნეთში	5
ამერიკის შეერთებულ შტატებში	6
რუსეთში	7
თურქეთში	8
აზერბაიჯანში	9
სომხეთში	10
ჩინეთში	11
ისრაელში	12

სხვა ქვეყანაში (მიუთითეთ)_____	13
სხვა ქვეყანაში (მიუთითეთ)_____	14
სხვა ქვეყანაში (მიუთითეთ)_____	15
[არ წაუკითხოთ] *(სულ ერთია/ყველგან წავიდოდი)*	-4
[არ წაუკითხოთ] (*არსად არ წავიდოდი)*	-5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

13. **თქვენი აზრით, რამდენად არის ან არ არის დამაკმაყოფილებელი განათლების დონე საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში?** [წაუკითხეთ]

სრულიად დამაკმაყოფილებელია	1
დამაკმაყოფილებელია	2
არ არის დამაკმაყოფილებელი	3
საერთოდ არ არის დამაკმაყოფილებელი	4
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

14. **თქვენი აზრით, რამდენად დიდი ან მცირე გავლენა აქვს მართლმადიდებლურ ეკლესიას საქართველოს მოსახლეობაზე?** [წაუკითხეთ]

ძალიან დიდი	1
დიდი	2
საშუალო	3
მცირე	4
საერთოდ არ აქვს გავლენა	5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

15. **თქვენი აზრით, რამდენად დიდი ან მცირე გავლენა აქვს ისლამს, როგორც რელიგიას, საქართველოს მოსახლეობაზე?** [წაუკითხეთ]

ძალიან დიდი	1
დიდი	2
საშუალო	3
მცირე	4
საერთოდ არ აქვს გავლენა	5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

16. თქვენი აზრით, უნდა ფინანსდებოდეს თუ არა მართლმადიდებლური ეკლესია სახელმწიფოს ბიუჯეტიდან?

დიახ	1
არა	2
[არ წაუკითხოთ (დიახ, მაგრამ ნაკლები თანხით)]	-5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

17. თქვენი აზრით, უნდა ფინანსდებოდეს თუ არა სხვა რელიგიური ჯგუფები/ინსტუტუტები სახელმწიფოს ბიუჯეტიდან?

დიახ	1
არა	2
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

ქვეყნის საგარეო კურსი

18. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის საქართველოს ინტეგრაცია ევროკავშირში? [წაუკითხეთ]

ძალიან მნიშვნელოვანია	1
საკმაოდ მნიშნელოვანია	2
არც ისე მნიშნელოვანია	3
საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი	4
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

19. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის საქართველოს ინტეგრაცია ნატოში? [წაუკითხეთ]

ძალიან მნიშვნელოვანია	1
საკმაოდ მნიშნელოვანია	2
არც ისე მნიშნელოვანია	3
საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი	4
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

20. თქვენი აზრით, ამჟამად რა მიმართულებით ხორციელდება საქართველოს საგარეო პოლიტიკის კურსი, უფრო რუსეთისკენ თუ უფრო დასავლეთისკენ? [წაუკითხეთ]

უფრო რუსეთისკენ	1
უფრო დასავლეთისკენ	2
[არ წაუკითხოთ] (ორივე მიმართულებით)	-4
[არ წაუკითხოთ] (არც ერთი მიმართულებით)	-5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

21. თქვენი აზრით, საქართველოს პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში დღეს არის... [წაუკითხეთ]

ძალიან დამთმობი	1
უფრო დამთმობი, ვიდრე მტკიცე	2
ნეიტრალური	3
უფრო მტკიცე, ვიდრე დამთმობი	4
ძალიან მტკიცე	5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

22. რამდენად მისაღები ან მიუღებელია თქვენთვის საქართველოს დღევანდელი პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში? [წაუკითხეთ]

სავსებით მისაღებია	1
უფრო მისაღებია, ვიდრე მიუღებელი	2
უფრო მიუღებელია, ვიდრე მისაღები	3
საერთოდ მიუღებელია	4
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

23. რომელი ქვეყანა მიგაჩნიათ საქართველოს მთავარ პოლიტიკურ პარტნიორად?
[ჩაწერეთ რესპონდენტის მიერ დასახელებული ქვეყანა. მიიღეთ მხოლოდ ერთი პასუხი.]

_____

არც ერთი	-4
ყველა	-5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

24. **რომელი ქვეყანა მიგაჩნიათ საქართველოს მთავარ მტრად?**
[ჩაწერეთ რესპონდენტის მიერ დასახელებული ქვეყანა. მიიღეთ მხოლოდ ერთი პასუხი.]

_____

არც ერთი	-4
ყველა	-5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

<u>ოკუპირებული რეგიონები</u>

25. **თქვენი აზრით, რამდენად ეფექტური ან არაეფექტურია საქართველოს დღევანდელი პოლიტიკა ოკუპირებული ტერიტორიების დასაბრუნებლად?**
[წაუკითხეთ]

ძალიან ეფექტურია	1
საკმაოდ ეფექტურია	2
არც ისე ეფექტურია	3
საერთოდ არაეფექტურია	4
[არ წაუკითხოთ] (არანაირი პოლიტიკა არ არსებობს ტერიტორიების დასაბრუნებლად)	-5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

26. **რამდენად ხშირად ან იშვიათად გაქვთ ურთიერთობა ადამიან(ებ)თან, ვინც ამჟამად აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონში ცხოვრობს (იგულისხმება როგორც პირადი, ისე ინტერნეტით ურთიერთობა)?**
[წაუკითხეთ]

[ინტერვიუერს: არ იგულისხმება აფხაზეთიდან ან ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები, არამედ ადამიანები ვინც ამჟამად ამ ტერიტორიებზე ცხოვრობენ]

ძალიან ხშირად	1
ხშირად	2
ზოგჯერ	3
იშვიათად	4
არასდროს	5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

27. **რამდენად ხშირად ან იშვიათად იღებთ ინფორმაციას აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე?**
[წაუკითხეთ]

ძალიან ხშრად	1
ხშირად	2
ზოგჯერ	3
იშვიათად	4
არასდროს	5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

28. **რამდენად ხშირად ან იშვიათად იღებთ ინფორმაციას სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროცესებზე?**
[წაუკითხეთ]

ძალიან ხშირად	1
ხშირად	2
ზოგჯერ	3
იშვიათად	4
არასდროს	5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

[29-ე კითხვა დაისმის იმ შემთხვევაში, თუ 27-ე ან 28-ე კითხვაში რესპონდენტი იტყვის „ძალიან ხშირად“, „ზოგჯერ“ „ხშირად“ ან „იშვიათად“]

29. **რა წყაროებიდან იღებთ ინფორმაციას აფხაზეთში/ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონში მიმდინარე პროცესებზე ყველაზე ხშირად?**

[არ წაუკითხოთ პასუხის ვარიანტები. შეუსაბამეთ. მიიღეთ ორი პასუხი]

1	*ტელევიზია (ონლაინ გადაცემების გარდა)*
2	*გაზეთები/ჟურნალები (ონლაინ ვერსიების გარდა)*
3	*რადიო (ონლაინ გადაცემების გარდა)*
4	*მედია საშუალებების ვებგვერდები*
5	*სოციალური ქსელები*
6	*საგანმანათლებლო დაწესებულებები*
7	*საქართველოში მყოფი ოჯახის წევრები, მეგობრები, ნათესავები, კოლეგები*
8	*აფხაზეთში/ცხინვალის რეგიონში მყოფი ოჯახის წევრები, მეგობრები, ნათესავები, კოლეგები*
9	სხვა (მიუთითეთ)_____
-1	*(არ ვიცი)*
-2	*(უარი პასუხზე)*